პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხუთშაბათი
29 აგვისტო
1940 წ.
№ 200 (5901)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შრომის მჯკიცე დისციპლინისათვის მჯს-ებში

ერთ თვეზე მეტია, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 17 ივლისის ბრძანებულება „იმ ტრაქტორისტთა და კომბაინერთა სამუშაოდან თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ, რომელნიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობენ“. ტრაქტორისტებზე, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებზე და მათ თანაშემწეებზე, რომლებიც მტს-ებში მუშაობენ, ვრცელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მოქმედება, გარდა 1 და 2 მუხლებისა, რომლებიც ღონიშნული კატეგორიის მუშაკებზე არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს სეზონური ხასიათის გამო.

კომბაინერებზე, როგორც მტს-ების შტატის მუშებზე, მთლიანად ვრცელდება 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება.

ამ ბრძანებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტს-ების მუშაობის წარმატების უზრუნველსაყოფად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 17 ივლისის ბრძანებულებამ საქართველოს მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა. მოწინავე კომბაინერებმა და ტრაქტორისტებმა ბრძანებულებას შრომის ნაყოფიერების ზრდით უპასუხეს. მაგალითად, ალაზნის მტს-ის კომბაინერმა მ. ლაზარიაშვილმა 30 სამუშაო დღის განმავლობაში მოსავალი 528 ჰექტარზე აიღო. ასეთი ფაქტები მრავალია.

უდიდესია მტს-ების როლი კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში. სახელმწიფო მტს-ების საშუალებით ეხმარება კოლმეურნეობებს. საბჭოთა საქართველოში ყოველწლიურად იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. არსებული 55 მტს-ი აღჭურვილია მძლავრი სატრაქტორო პარკით. ამ მტს-ებში 2.358 ტრაქტორია და 487 კომბაინი. საქართველოს მტს-ების 1940 წლის საწარმოო დავალება ფრიად სერიოზულია. მტს-ებმა წელს პირობითს ხვნაზე გადაყვანით (ლეწვის გამოკლებით) უნდა მოხნან 861.662 ჰექტარი. მართალია, ამ სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა საქართველოში შესრულებულია 102,1 პროცენტით, მაგრამ მთელმა რიგმა მტს-ებმა პირობით ხვნაზე გადაყვანით ვერ შეასრულეს ნახევარი წლის სამუშაოები. ასეთებია: ადიგენის, მცხეთის, ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, წითელწყაროს, წალკის, ბოგდანოვკის, კასპის, ოქამის, დუშეთის, წითელქალაქის, გორისა და სხვა მტს-ები. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა, შრომის ნაყოფიერება. ბევრგან სატრაქტორო პარკი მთელი შესაძლებლობით არ არის გამოყენებული, ადგილი აქვს უყაირათობასა და სახელმწიფო თანხების განიავებას, საწვავი მასალის გადახარჯვას, დაბალ გამომუშავებას, იარაღ - მანქანებისადმი ტექნიკური მოვლის წესების დაუცველობას. მცხეთის მტს-ში ყოფ. დირექტორის ქაჯაიას მუშაობის დროს ადგილი ჰქონდა სახელმწიფო თანხების განიავებას, უყაირათობასა და სატრაქტორო სამუშაოთა ჩაშლას. ზესტაფონის მტს-ის ხელმძღვანელები შეურიგდნენ იმას, რომ საგაზაფხულო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ 16 ტრაქტორი გაუწმენდავ-გაუზეთავად შეინახეს.

სპპატიო მიზეზის უქონლად სამუშაოს გაცდენას, სამუშაოდან თვითნებურად წასვლას ჯერ კიდევ ბევრ მტს-ში აქვს ადგილი. ახალსოფლის მტს-ის ტრაქტორისტმა ალექსი ელიოზაშვილმა ერთი კვირით მიატოვა სამუშაო და სადღაც წავიდა. იგი სამართალშია მიცემული. საგარეჯოს მტს-ის ტრაქტორისტმა ალექსი სულაძემ თვითნებურად მიატოვა სამუშაო. მას სამი თვით პატიმრობა მიესაჯა. მცხეთის მტს-ის ტრაქტორისტს გ. დონგუზაშვილს ოთხი თვით პატიმრობა მიესაჯა სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის.

დაბალია შრომის დისციპლინა ქუთაისის მტს-ში: სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ი. კოხრეიძე და ტრაქტორისტი დავით სულაბერიძე სამუშაოს თვითნებურად მიტოვებისათვის სამართალში არიან მიცემულნი. პასუხისგებაში არიან მიცემულნი, როგორც სამუშაოს გამცდენები, წულუკიძის მტს-ის ტრაქტორისტი ვ. გვინცაძე, გორის მტს-ის ტრაქტორისტი მანუჩარაშვილი, ზუგდიდის მტს-ის ტრაქტორისტი ა. ფარმაგია. სამუშაოს გაცდენას ვხვდებით აგრეთვე კასპის, ადიგენის და მთელ რიგ სხვა მტს-ებში.

თვითეული მტს-ის დირექტორი ვალდებულია მტკიცედ დაიცვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის და 17 ივლისის ბრძანებულებანი. მტს-ის დირექტორი, ისე როგორც ყოველი საწარმოს დირექტორი, საწარმოს სრულუფლებიანი ხელმძღვანელია და იგი პასუხს აგებს წარმოებაში დისციპლინის მდგომარეობისა და წესრიგისათვის. მტს-ის დირექტორის ბრძანებულებანი და განკარგულებანი უყოყმანოდ უნდა სრულდებოდეს. მტს-ებში შრომის რკინისებური დისციპლინის დაცვაზე უპირველეს ყოვლისა თვით დირექტორი უნდა ზრუნავდეს, ეს მისი წმინდათა-წმინდა მოვალეობაა. მას პარტიისა და მთავრობის მიერ ყველა პირობა აქვს შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის. „მტს-ის დირექტორის მუშაობა — დიდი და სპპატიო მუშაობაა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის თვითეული დირექტორი და მუშაკთა მთელი კოლექტივი დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ თავიანთი მუშაობისათვის“ (ლ. ბერია). მტს-ების დირექტორებმა ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ ამხ. ლ. ბერიას ამ მითითებიდან.

ამავე დროს პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ და ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ მტს-ების დირექტორებს ბრძანებულების ურყევად გატარებაში, შრომის მტკიცე დისციპლინის დამყარებისათვის, ფრენიებისა და გამცდენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. თვით კომუნისტები უნდა იძლეოდნენ სახელმწიფო დისციპლინის დაცვის ნიმუშს.

შრომის დისციპლინის დარღვევას ვხვდებით სამიწათმოქმედო ორგანოებსა და მტს-ების სპეციალისტებს შორის. საქმიწსახკომის IV საწარმოო ტერიტორიული სამმართველოს რევიზორ-ბუხჰალტერს გარეგინ პეტროსოვს სამუშაოს არა სპპატიო მიზეზით გაცდენისათვის მიესაჯა გამასწორებელ-შრომითი მუშაობა ექვსი თვით, ხელფასის 25 პროცენტის დაკავებით. სამუშაოს გაცდენისათვის 4 თვის გამასწორებელ-შრომითი მუშაობა მიესაჯა წითელქალაქის მტს-ის უფროს აგრონომ ბალიაშვილს.

ამ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი სასამართლოს გულგრილი დამოკიდებულება ბრძანებულების შესრულებისადმი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ ფაქტს. თელავის მტს-დან 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სახალხო სასამართლოს გადაეცა 7 ტრაქტორისტის საქმე. მაგრამ 20 აგვისტოსათვის გამცდენთა საქმე სასამართლოს გარჩეული არ ჰქონდა. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ სასამართლოს და პროკურატურის ორგანოები პასუხს აგებენ ფრენიების, გამცდენების საქმის გარჩევის გაჭიანურებისათვის?

პარტია და მთავრობა მოითხოვენ მტს-ების სამეურნეო, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის და 17 ივლისის ბრძანებულებათა მტკიცედ გატარებას, დაუნდობელ ბრძოლას ფრენიებისა და მუქთახორების წინააღმდეგ. მტს-ებში შრომის მტკიცე დისციპლინის დანერგვის, ნამდვილი ბოლშევიკური წესრიგის დამყარების საქმეში მათ ცოცხალი კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა.

მტს-ების პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა შრომის რკინისებური დისციპლინის დანერგვით უნდა უზრუნველჰყონ „მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“ სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების სასახელოდ შესრულება.

საბჭოთა ქავშირში

იასნაია პოლიანაში

იასნაია პოლიანა. ამა წლის 20 ნოემბერს სრულდება 30 წელი დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალებიდან. ტულის ოლქის საზოგადოებრიობა ემზადება ამ თარიღის აღსანიშნავად. იასნაია პოლიანას მუზეუმში — მწერლის კარმიდამოში გაკეთებულია ახალი მხატვრული ექსპოზიცია — „ტოლსტოის ცხოვრება და შემოქმედება“. წარმოდგენილია რომან „აღდგომის“ ილუსტრაციები, ტოლსტოის პორტრეტი — მხატვარ გეს ნამუშევარი, აკადემიკოსი-მხატვრების ნესტეროვის, ბიალინიცკი-ბირულის და სხვათა სურათები.

იასნაია პოლიანაში ამ უკანასკნელ ხანს დიდძალი ექსკურსანტი მოდის.

ჯამბულის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემა

ალმა-ატა. გამოვიდა ყაზახეთის სახალხო აკინის, ორდენოსანი ჯამბულის პოემებისა და ლექსების კრებული რუსულ ენაზე.

ამ უკანასკნელ სამ წელს ალმა-ატაში ჯამბულის ნაწარმოებნი 6-ჯერ გამოიცა — ყაზახურ, რუსულ და უიგურულ ენაზე. საბჭოთა ყაზახეთის 20 წლისთავისათვის ყაზახურ ენაზე გამოვა ჯამბულის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომი.

საბჭოთა ლიტვაში

მუშათა ოჯახები კარგ ბინებში გადაჰყავთ

ვილნიუსი, 26 აგვისტო (საკდესი). გუშინ ქ. ვილნიუსში დაიწყო სარდაფებში მცხოვრებ მუშათა ოჯახების გადასახლება ფართო, კარგ ბინებში.

სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ, რომელიც პროფკავშირთა ცენტრალურ ბიუროსთან არის შექმნილი, აღრიცხა მთელი ზედმეტი საცხოვრებელი ფონდი და ყველა ისინი, ვისაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროება. პირველ რიგში ახალ საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ წვრილცოლშვილიანი მუშები და მოსამსახურენი. საბინაო კომისია მათ აძლევს თავის საბარგო მანქანებს.

საბჭოთა ლატვიაში

მწერალთა და ჟურნალისტთა პროფესიული კავშირი

რიგა, 26 აგვისტო (საკდესი). შეიქმნა ლატვიის სს რესპუბლიკის მწერალთა და ჟურნალისტთა პროფკავშირი. კავშირის გამგეობამ დაადგინა გამოსცეს ლიტერატურული გაზეთი. დაფარულვეტილ იქნა სიგულდის ციხე გადააქციონ კულტურის მუშაკთა დასასვენებელ სახლად.

სტახანოვური მოძრაობის ბიბლიოთეკა

რიგა, 26 აგვისტო (საკდესი). განზრახულია რიგაში გაიხსნას სტახანოვური მოძრაობის სპეციალური ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკისათვის გამოყენებულ იქნება მდიდარი მასალა საბჭოთა კავშირში სტახანოვური მოძრაობის შესახებ. გადაწყდა მოეწყოს აგრეთვე სტახანოვური მოძრაობის გამოფენა.

საბჭოთა ესტონეთში

ლექცია სახელმწიფოს შესახებ

ტალინი, 26 აგვისტო (საკდესი). ამ დღეებში ესტონეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მოაწყო ლექცია „ლენინ-სტალინის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“. ლექცია, რომელიც რუსულ ენაზე წაიკითხა დოცენტმა შჩეტინინმა, უდიდესი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჯგუფური გადმოხტომა 5.250 მეჭრის სიმაღლიდან

27 აგვისტოს მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთერთი აეროდრომიდან ჰაერში აფრინდნენ მსუბუქი სამგზავრო თვითმფრინავები. თვითმფრინავებში იმყოფებოდნენ აეროფლოტის მოსკოვის სამმართველოს კომკავშირელები—საბჭოთა პარაშუტიზმის ოსტატი ამხ. ეგოროვი, საპარაშუტო სამსახურის ინსტრუქტორები ამხ. ჟილკინი, ოდინცოვი და სხვები. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მანქანები 5.000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე იყვნენ. აქ სიცივე 10 გრადუსს უდრიდა. ქვემოთ მძლავრი ღრუბლები დაცურავდნენ. როდესაც ალტიმეტრების ისრებმა 5.250 მეტრი სიმაღლე უჩვენეს, თვითმფრინავებიდან თითქმის ერთსადამავე დროს გადმოეშვნენ პარაშუტისტები.

სიმაღლიდან ჯგუფურმა გადმოხტომამ წარმატებით ჩაიარა. პარაშუტისტებმა ჩინებულად შეასრულეს დავალება. ისინი ზუსტად დაეშვნენ დანიშნულ ადგილზე. თავიანთი ჯგუფური გადმოხტომა მათ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მიუძღვნეს. (საკდესი).

ლიტვის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭო მოგესალმებათ თქვენ, ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელს, ჩვენს ძვირფას მასწავლებელსა და დიდ ბელადს!

ჩვენ ღრმად მადლობელი ვართ თქვენი იმ ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ უთმობდით და უთმობთ ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. სახალხო სეიმის სრულუფლებიანი კომისიის ლიტვაში დაბრუნება ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა. ლიტვის მუშებმა საბჭოთა ხალხების ოჯახში ლიტვის სს რესპუბლიკის მიღებას უპასუხეს მასობრივი მოძრაობით შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სტახანოვური მოძრაობის პირველი ყლორტებით. მშრომელმა გლეხობამ ენტუზიაზმით მოჰკიდა ხელი სოფლის მეურნეობის გარდაქმნას ახალ საფუძვლებზე და პირობა დასდო, რომ მთლიანად და ვადაზე აიღებს მოსავალს და დასთესავს მინდვრებს.

დღევანდელი დღიდან ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონია დიადი სტალინური კონსტიტუცია, რომელმაც საბჭოთა კავშირის ხალხებს უმაგალითო აყვავება მოუტანა და სსრ კავშირი გადააქცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად. ამიერიდან ლიტვის ხალხი ისარგებლებს საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ყველა უფლებით, რომლებიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

ამ საზეიმო ჟამს პირობას გაძლევთ თქვენ, დიდო მასწავლებელო, რომ არასოდეს არ დავივიწყებთ იმ წმინდა მოვალეობებსაც, რომლებსაც გვაკისრებს ახალი კონსტიტუცია — მოვალეობას თავდადებით ვიმუშაოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის, დავიცვათ იგი ისე, რომ არ დავზოგოთ ჩვენი ძალღონე და თვით სიცოცხლეც.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს დიდ **სტალინს,** რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მივყევართ!

ლატვიის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

სტალინური კონსტიტუციის მიღების დღეს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭო მგზნებარე ბოლშევიკური სალამს გიძღვნით თქვენ — მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს!

ლატვიელი მშრომელი ხალხი მრავალი წლის განმავლობაში იჩაგრებოდა და პოლიტიკურად უუფლებო იყო. დადგა ჟამი, როდესაც ლატვიის მშრომელებმა მიიღეს სრული თავისუფლება, მიიღეს შრომის უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება.

ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭო და მასთან ერთად მთელი ლატვიელი ხალხი სიტყვას გაძლევთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მთელ თავის ძალღონეს, მთელს ენერგიას მოახმარს ახალგაზრდა ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადსა და მასწავლებელს ჩვენს ძვირფას ამხანაგ **სტალინს!**

საბჭოთა ღიჟვის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგები

კაუნასი, 27 აგვისტო (საკდესი). საბჭოთა ლიტვის მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სახალხო სეიმის საგანგებო სესიის—ლიტვის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებს.

კაუნასის ყველა საწარმოში, ვილნიუსის, შაულიაიის და ლიტვის სს რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და დაბების საწარმოებში შესდგა მიტინგები და კრებები, რომლებზედაც მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს სახალხო სეიმის—დროებითი უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებანი.

გუშინ საღამოს მრავალათასიანი მიტინგი შესდგა კაუნასის სასპორტო დარბაზში. აქ მოვიდნენ კაუნასის საწარმოთა მუშები, დაწესებულებათა მოსამსახურეები, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლმა ამხ. პეტრაუსკასმა.

ლიტვის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს სახელით გამოვიდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. მიკკისი. მან მხურვალედ მიუღოცა შეკრებილთ მიღება სტალინური კონსტიტუციისა, რითაც განხორციელდა ის დიადი პრინციპები, რომლებისთვისაც საუკუნოებით იბრძოდნენ კაცობრიობის საუკეთესო შვილები.

კაუნასის მუშათა სახელით გამოვიდა ამხ. სიპკუსი. მან სიტყვა მისცა შეკრებილთ, რომ კაუნასის მუშები, რომლებმაც უკვე გვიჩვენეს შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშები, კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებენ თავისი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ტრიბუნაზე ადის ლიტვის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. პაშკევიჩუსი. იგი მიესალმა შეკრებილთ ვილნიუსის—ლიტვის იმ უძველესი ქალაქის მშრომელთა სახელით, რომელიც ამჟამად გამოცხადებულია ახალგაზრდა ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქად.

მიტინგზე აგრეთვე გამოვიდა რკინიგზელი მუშა ამხ. შეშკიავიჩიუსი.

შეკრებილნი მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ წინადადებას მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისათვის მისალმების გაგზავნის შესახებ. ამ მისალმებაში კაუნასის მუშები და მშრომელი ინტელიგენცია პირობას სდებენ, რომ თაიდადებით იმუშავებენ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, თავგანწირვით იბრძოლებენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

გულთბილად იქნა მიღებული წინადადება, რომ მისალმება გაიგზავნოს დონბასის — საყოველთაო სახალხო სტახანოვური მოძრაობის სამშობლოს—მაღაროელებს.

გუშინ მრავალათასიანი მიტინგი შესდგა კაუნასის მუშათა გარეუბანში — შანჩიაიში. ლიტვის სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ვენცლოვამ მიტინგის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო ლიტვის სახალხო სეიმის—ლიტვის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიის ისტორიული გადაწყვეტილებანი. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სესიის გადაწყვეტილებანი და განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ **სტალინის** სახელზე.

ესტონეთის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი

განთავისუფლებული ესტონელი ხალხის ცხოვრებაში ამ ისტორიულ დღეს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭო მგზნებარე გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ამხანაგო სტალინ!

დღეს, 1940 წლის 25 აგვისტოს, ჩვენ, სახალხო წარმომადგენლობამ, მივიღეთ კონსტიტუცია, რომელიც გვიხსნის ჩვენ თავისუფლებისა და ნათელი მომავლის გზას.

ესტონეთის მშრომელებმა მიაღწიეს დიდი ხნის ნანატრ მიზანს — მოაწყონ თავისი ცხოვრება, თავისი მეურნეობა და კულტურა თქვენი ხელმძღვანელობით. თქვენს მიერ შემუშავებული მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია მთელი მსოფლიოს მშრომელთა შუქურაა. განთავისუფლებული ესტონელი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე შემუშავებული და მიღებულია ჩვენი ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ მასწავლებელსა და ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

ვალინის მშრომელები ერთსულოვნად მიესალმებიან ესტონეთის სს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას

ტალინი, 27 აგვისტო (საკდესი). გუშინ და დღეს ტალინისა და საბჭოთა ესტონეთის სხვა ქალაქების ბევრ საწარმოში ჩატარდა ხალხმრავალი კრებები და მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს საგანგებო სესიას — დროებითი უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას.

ჩრდილოეთის ქალალდის ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

— ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ესტონეთის სს რესპუბლიკის დროებითის უმაღლეს საბჭოს, მის პრეზიდიუმსა და სახალხო კომისარიატს საბჭოს. ამიერიდან ჩვენი ცხოვრების კანონს წარმოადგენს დიადი სტალინური კონსტიტუცია—მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მშრომელებისათვის უზრუნველჰყოფს შრომის, დასვენების, განათლებისა და ბედნიერი მოხუცებულობის უფლებას. ჩვენ მივესალმებით ამ კონსტიტუციის შემოქმედს, სოციალიზმის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს — ბრძენს, დიდ **სტალინს.** სტალინური კონსტიტუციის დროშით მივაღწევთ ჩვენ კომუნიზმის გამარჯვებას. გაუმარჯოს ჩვენს მამას, მეგობარსა და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

ყველა მიტინგსა და კრებაზე განსაკუთრებული აღფრთოვანებით იქნა მიღებული რეზოლუციები, რომლებიც გამოხატავენ იმას, რომ ხალხი ერთიანად იწონებს ესტონეთის სს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას, რომელიც შედგენილია დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

თბილისის საელექტრომავლო დეპოს კრივონოსელი, კომკავშირელი ე. ხუბულური.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

სტახანოვური მოძრაობის სამშობლოში

სერგო, 27 აგვისტო (საკდესი). სტალინის სახელობის მაღარო „ცენტრალნაია ირმინოში“ ამჟამად ყველაფერი მოგვაგონებს დიდი დღესასწაულის წინადღეებს. აქ, სტახანოვური მოძრაობის ამ აკვანში, დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან ღირსშესანიშნავი ხუთი წლისთავის შესახვედრად. ყველას მეხსიერებაში ცოცხლდება ის დღე, როცა ალექსი სტახანოვმა უბან „ნიკანორ-ვოსტოკში“ თავისი ისტორიული რეკორდი დაამყარა. ამ დაუვიწყარი დღიდან განვლილი წლების მანძილზე მაღარო ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობ, გაახარდნენ ადამიანები, ახალი კადრები.

დიადი საყოველთაო - სახალხო მოძრაობის წამომწყებნი — ალექსი სტახანოველი და მისი მეგობარი ანრი ბარბიუსი.

1916 წელს ბარბიუსმა გამოუშვა თავისი პირველი რევოლუციური რომანი „ცეცხლში“, რომელშიც გაბედულად და მკვეთრად გამოამჟღავნა იმპერიალისტური ომის ნამდვილი შინაარსი. ბარბიუსს უკვე იმ დროსაც ჰქონდა მოხვეჭილი მსოფლიო სახელი, მაგრამ მეფის რუსეთში მწერლის ნაწარმოებნი არ გამოუციათ.

ანრი ბარბიუსის წიგნები სსრ კავშირის მშრომელთა ფართო მასებმა, და ახლა ისინი ორ-ორნახევარ ნორმას იძლევიან.

მაღაროში შესამჩნევად გაიზარდნენ მაღაროელ ქალთა რიგები, რომლებიც ზედმიწევნით დაეუფლნენ მაღაროელთა პროფესიებს. ახლა მათი რიცხვი აქ 500-ს უდრის. მაღაროში შვიდი წელია მუშაობს ქვანახშირის გამხვეტი ამხ. ბურმისტროვა. ამხ. სტარიკოვა თვიდან თვემდე 220-300 პროცენტით ასრულებს დავალებას. სტახანოვურად მუშაობენ ამხ. გერნიკოვა, პლაკისინა, ბელიაევა და მრავალი სხვა.

მაღაროს საუკეთესო ადამიანები დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ბევრი სტახანოველი დაწინაურებულია ხელმძღვანელ სამუშაოზე.

წარმოების სტახანოველთა და მეთაურთა მეცადინეობით სტალინის სახელობის მაღარო „ცენტრალნაია-ირმინომ“ სპპატიო ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა შორის. მან ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების რვა თვის გეგმა.

მაღარო „ცენტრალნაია-ირმინოს“ კოლექტივი — სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი — ბოლშევიკურად იბრძვის ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის დონბასში, ამრავლებს სოციალისტური სამშობლოს გამარჯვებას შრომის ფრონტზე.

ირმინოს მუშათა დაბა გასულ ხუთი წლის მანძილზე კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა. მაღაროელებისათვის აგებულია მრავალი საცხოვრებელი სახლი. გახსნილია ახალი სკოლები, სამავშვო ბაღები, მაღაზიები. მაღაროელებს მომსახურებას უწევენ კლუბი, კინოთეატრი, კულტურისა და დასვენების ორი პარკი, სტადიონი, წყლის აუზი. ქალაქ სერგოსა და ირმინოს შორის გაყვანილია ტრამვაის ხაზი.

ანრი ბარბიუსის ხსოვნას

30 აგვისტოს სრულდება 5 წელი იმ დღიდან, რაც გარდაიცვალა შესანიშნავი რევოლუციონერი მწერალი, მშრომელთა დიდი მეგობარი ანრი ბარბიუსი.

1916 წელს ბარბიუსმა გამოუშვა თავისი პირველი რევოლუციური რომანი „ცეცხლში“, რომელშიც გაბედულად და მკვეთრად გამოამჟღავნა იმპერიალისტური ომის ნამდვილი შინაარსი. ბარბიუსს უკვე იმ დროსაც ჰქონდა მოხვეჭილი მსოფლიო სახელი, მაგრამ მეფის რუსეთში მწერლის ნაწარმოებნი არ გამოუციათ.

ანრი ბარბიუსის წიგნები სსრ კავშირის მშრომელთა ფართო მასებმა, და ახლა ისინი ორ-ორნახევარ ნორმას იძლევიან.

მაღაროში შესამჩნევად გაიზარდნენ მაღაროელ ქალთა რიგები, რომლებიც ზედმიწევნით დაეუფლნენ მაღაროელთა პროფესიებს. ახლა მათი რიცხვი აქ 500-ს უდრის. მაღაროში შვიდი წელია მუშაობს ქვანახშირის გამხვეტი ამხ. ბურმისტროვა. ამხ. სტარიკოვა თვიდან თვემდე 220-300 პროცენტით ასრულებს დავალებას. სტახანოვურად მუშაობენ ამხ. გერნიკოვა, პლაკისინა, ბელიაევა და მრავალი სხვა.

მაღაროს საუკეთესო ადამიანები დაჯილდოებული არიან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ბევრი სტახანოველი დაწინაურებულია ხელმძღვანელ სამუშაოზე.

წარმოების სტახანოველთა და მეთაურთა მეცადინეობით სტალინის სახელობის მაღარო „ცენტრალნაია-ირმინომ“ სპპატიო ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა შორის. მან ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების რვა თვის გეგმა.

მაღარო „ცენტრალნაია-ირმინოს“ კოლექტივი — სტახანოვური მოძრაობის ხუთი წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი — ბოლშევიკურად იბრძვის ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის დონბასში, ამრავლებს სოციალისტური სამშობლოს გამარჯვებას შრომის ფრონტზე.

ირმინოს მუშათა დაბა გასულ ხუთი წლის მანძილზე კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა. მაღაროელებისათვის აგებულია მრავალი საცხოვრებელი სახლი. გახსნილია ახალი სკოლები, სამავშვო ბაღები, მაღაზიები. მაღაროელებს მომსახურებას უწევენ კლუბი, კინოთეატრი, კულტურისა და დასვენების ორი პარკი, სტადიონი, წყლის აუზი. ქალაქ სერგოსა და ირმინოს შორის გაყვანილია ტრამვაის ხაზი.

საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და რესპუბლიკის პროკურატურაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების უხეში დარღვევისათვის, რაც გამოიხატა შრომის დისციპლინის დამრღვევთა და წარმოების დეზორგანიზატორთა მიმართ ლიბერალურ დამოკიდებულებაში, ქ. თბილისის რაიონების ზოგიერთი მოსამართლე და პროკურორი მოხსნილი არიან სამუშაოდან. ზოგი მათგანი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისადმი ბრძანებით:

ა. ი. დიასამიძე — ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო მოსამართლე, წარმოების დეზორგანიზატორთა აშკარა მფარველობისათვის მოიხსნა სამუშაოდან, მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ა. ი. დიასამიძის საქმე გამოძიებისათვის გადაეცა რესპუბლიკის პროკურატურას.

ი. ჭ. ბანეთიშვილი

ახალგაზრდობის XXVI საერთაშორისო დღისათვის

(ისტორიული ცნობა)

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე—1 სექტემბერი წარმოადგენს მსოფლიოს მშრომელი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სოლიდარობის საბრძოლო დღესასწაულს.

რევოლუციური მშრომელი ახალგაზრდობა ყოველწლიურად აღნიშნავს ამ დღესასწაულს იმისათვის, რომ მოახდინოს თავისი ძალების დათვალიერება. კაპიტალისტურ ქვეყნებში, კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში ახალგაზრდობის საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული ტარდება კომუნისტური ინტერნაციონალის და **აკის** — საბრძოლო ლოზუნგებით — იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, მშრომელთა ექსპლოატატორების წინააღმდეგ; საბჭოთა კავშირის, როგორც ყველა ქვეყნის მშრომელთა სამშობლოს დაცვისათვის.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე პირველად აღინიშნა 1915 წელს. ეს ის ხანა იყო, როდესაც მსოფლიოში გულმემზარავად გაისმოდა ქვემეხების გრიალი, როდესაც მსოფლიო იმპერიალისტური ომის საშინელ ცეცხლში იყო გახვეული.

ამ ვითარებაში დაიბადა იდეა — ყველა ქვეყნის რევოლუციური ახალგაზრდობა დარაზმული გამოსულიყო იმპერიალისტური სასაკლაოს წინააღმდეგ, მძარცველური ომისა და მტაცებელთა წინააღმდეგ.

1915 წელს აპრილში ქალაქ ბერნში (შვეიცარია) ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიკრიბა ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მიღებულ იქნა წინადადება ყოველწლიურად ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩატარების შესახებ.

რევოლუციური ახალგაზრდობა გაბედული პროტესტით გამოდიოდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, მაგრამ ამ გამოსვლებს და პროტესტებს არ ჰქონდა მტკიცე ორგანიზებული ხასიათი.

მიუხედავად ამისა, ბერნის კონფერენციის მოწოდებამ მაინც ჰპოვა მხურვალე გამოხმაურება ყველა ქვეყნის ახალგაზრდობაში.

ბოლშევიკები ლენინისა და სტალინის მეთაურობით, დაუნდობლად ააშკარავებდნენ რა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ პოლიტიკას, ახალგაზრდობას აშორებდნენ რეფორმიზმის გავლენას და ამრიგად ამზადებდნენ ნიადაგს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნისათვის.

პირველად ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ჩატარდა 1915 წლის 3 ოქტომბერს. ამ დღის ჩატარებაში მონაწილეობა მიიღო ევროპისა და ამერიკის 100 ათასზე მეტმა კაცმა.

1916 წელს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში აღინიშნა ფართო კრებებით და მიტინგებით. გაცილებით ფართო და მებრძოლი ხასიათი მიიღო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღემ 1917 წელს. ეს წელი მნიშვნელოვანია მით, რომ რუსეთის ახალგაზრდობამ პირველად აღნიშნა იგი, გამოვიდა რა ბოლშევიკური ლოზუნგებით.

ოქტომბრის რევოლუციის წინ მოსკოვისა და პეტროგრადის ახალგაზრდობამ მოაწყო მასობრივი დემონსტრაციები. ისინი მოითხოვდნენ კერენსკის მთავრობის დამხობას, ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის, „პურს, ზავს და თავისუფლებას“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა რევოლუციური ამბების განვითარებაზე ევროპაში. ახალგაზრდობის IV საერთაშორისო დღე უკვე ასახავდა საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგებს. 1918 წელი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობისათვის უმნიშვნელოვანესი იყო იმით, რომ ამ წლის 29 ოქტომბერს **ლენინისა და სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

1933 წლიდან **აკის** აღმასკომის გადაწყვეტილებით ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ტარდება ყოველწლიურად, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ვითარებისა და სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპების მიხედვით ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ჩვენს ქვეყანაში ტარდებოდა პარტიის საბრძოლო ლოზუნგებისათვის ახალგაზრდობის ფართო მობილიზაციის ნიშნით.

o

წელს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩატარდება უაღრესად გართულებულ ვითარებაში. მეორე იმპერიალისტური ომი, რომელიც გაჩაღეს ინგლისისა და საფრანგეთის პროვოკატორებმა, აუტანელ მდგომარეობაში აყენებს ახალგაზრდობას. ასეული ათასობით ახალგაზრდას ერეკებიან ბრძოლის ველზე, ასეული ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე განსაცდელშია. თუ ამას დავუმატებთ შიმშილს, უმუშევრობას, ადამიანური ღირსებების ფეხქვეშ გათელვას, ნათელი გახდება ახალგაზრდა ადამიანის ტრაგიკული სურათი კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მიუხედავად სასტიკი დევნისა, შევიწროვებისა და დამცირებისა, მშრომელი ახალგაზრდობა მაინც გაბედულად გამოდის მტაცებლებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ, იგი დღითი-დღე ზრდის თავის მებრძოლ ლეგიონებს.

მილიონობით ახალგაზრდა ადამიანი შენატრის საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანებს.

არსად, არც ერთს ქვეყანაში ახალგაზრდობა არ არის გარემოცული ისეთი მზრუნველობით და სიყვარულით, როგორც ჩვენს ქვეყანაში. ახალგაზრდა ადამიანისათვის ჩვენში ყველა გზა ხსნილია. ჩვენი ქვეყნის მგზნებარე ახალგაზრდა პატრიოტები ყოველდღიურად გრძნობენ დიდი **სტალინის** მშობლიურ მზრუნველობას. ბედნიერი სიჭაბუკისათვის ისინი ღრმა სიყვარულის გრძნობით უგზავნიან მადლობას თავის პირველსა და უგულითადეს მეგობარს. და ამ მადლობას ისინი გამოხატავენ ბოლშევიკურ საგმირო საქმეებში—ზღვაზე, ხმელეთზე, ჰაერში.

სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა უახლოეს დღეებში აღნიშნავს საერთაშორისო დღესასწაულს. ჩვენი ახალგაზრდა პატრიოტები ერთი წუთითაც არ დაივიწყებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას საერთაშორისო ახალგაზრდობის წინაშე.

დიდი სტალინის სიტყვები: „საჭიროა, რომ ინტერნაციონალიზმის სული ყოველთვის თავს დასტრიალებდეს კომკავშირს“ — აღბეჭდილია თვითეული კომკავშირელის გულში.

შექმნილი საერთაშორისო ვითარება მრავალ მოულოდნელობას გვიქადის. თვითეული საბჭოთა მოქალაქის, თვითეული ახალგაზრდა ადამიანის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა პატიოსნად იმუშაოს თავის პოსტზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება უძლიერეს ბერკეტს წარმოადგენს სოციალიზმის ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. ახალგაზრდობა დაუღალავად უნდა იბრძოდეს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ჩვენმა ახალგაზრდობამ კარგად იცის, რომ საბჭოთა ქვეყნის თვითეულ გამარჯვებას მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე აქვს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა.

ლენინურ - სტალინური კომკავშირი, რომელიც ამჟამად ემზადება კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებისათვის, ახალი გამარჯვებებით აღნიშნავს ახალგაზრდობის XXVI საერთაშორისო დღესასწაულს. ეს იქნება საუკეთესო საჩუქრები დედა-სამშობლოსათვის, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერებისათვის.

თეთრგვარდიული ჯვროსის მსხვერპლთა ძეგლი

ლენინგრადი. აქ დამზადებულია თეთრგვარდიული ტერორის მსხვერპლთა მონუმენტური ძეგლი, რომელიც დაიდგმება ქალაქ კინგისეპის განაპირა ადგილას, „ხუთასის ტყე“. აქ 1919 წელს იუდენიჩის თეთრგვარდიელთა ბანდამ მხეცურად გაუსწორა 500 წითელარმიელი, პარტიზანი და ადგილობრივი მცხოვრები.

მძლეოსანთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება

მოსკოვი, 27 აგვისტო (საკდესი). მძლეოსანთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრების მესამე დღეს ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული ბრძოლა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდების მოსაპოვებლად ხუთჭიდში მამაკაცებისათვის. მძლეოსანთა ხუთჭიდში შედის: დისკოსა და შუბის ტყორცნა, გამორბენით სიგრძეზე ხტომა, რბენა 200 და 1500 მეტრზე. ჩვენი ქვეყნის 1940 წლის ჩემპიონის სახელწოდება მიიღო საზოგადოება „ლოკომოტივის“ სპორტსმენმა კონსტანტინე კუდრიავცევმა, რომელმაც შეაგროვა ყველაზე მეტი ქულა (3.322). კონსტანტინე კუდრიავცევმა შარშანაც მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდება ხუთჭიდში. ამას გარდა, იგი ცნობილია როგორც საუკეთესო საბჭოთა მოციგურავე, რომელმაც შესანიშნავი რეკორდი დაამყარა 500 მეტრ დისტანციაზე ციგურით რბენაში.

გუშინ დიდი წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა მოსკოველ სპორტსმენს კომაროვს (საზოგადოება „ბურევესტნიკი“), რომელმაც 400 მეტრზე გარბენაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ჭაბუკებისათვის. მისი შედეგი იყო 51,6 წამი. წინანდელი რეკორდიც მას ეკუთვნოდა და იგი უდრიდა 52,8 წამს.

სტიპლ-ჩეზში (რბენა დაბრკოლებებით) 3.000 მეტრ მანძილზე პირველობა შეინარჩუნა სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა კიეველმა საველიევმა. 200 მეტრ დისტანციაზე რბენაში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდება შეინარჩუნა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლენინგრადელმა ლუღუკომ, რომელმაც გვიჩვენა დრო — 22,3 წამი.

ყუმბარის ტყორცნაში პირველობა და სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა საზოგადოება „ლოკომოტივის“ წარმომადგენელმა სოლოვიევმა (ჩიტა), ქალთათვის შუბის ტყორცნაში — საზოგადოება „მედიკის“ სპორტსმენმა ქალმა ოზეროვამ (დონის როსტოვი) და გამორბენით სიგრძეზე ხტომაში ქალთათვის — მოსკოველმა დინამოელმა ქალმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ციცისმა.

მოემზადებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

სწავლების დეზორგანიზატორები მკაცრად უნდა დაისაჯონ!

„...ვღებულობ საქიმო მკურნალობას კბილის ტკივილებზე და მათი ფოლადის კბილის გაკეთებაზე ექიმების რჩევა-დარიგებით კიდევ გასტანს რამდენიმე დღეს...“ ეს ჩაქორთულად დაწერილი ციტატა ამოღებულია აღბულაღის რაიონის სოფ. მაწევნის დაწყებითი სკოლის მასწავლებლის არ. დანელიას განცხადებიდან, რომელშიც განსახკომს დაბეჯითებით სთხოვს მისცეს შვებულება 20 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე.

„ფოლადის კბილებზე“ ოცნებით გატაცებული და „ექიმების რჩევა-დარიგებით“ დაიმედებული დანელია დღესაც თბილისში დასეირნობს, ხოლო მოსწავლეები ამაოდ მოელიან მას სკოლაში.

სოფ. გალავნის (მცხეთის რაიონი) სკოლის მასწავლებელი ალ. ჩულჩინი 22 აგვისტოს განსახკომის დერეფნების იატაკს სტკეპნიდა. სოფელ ზემო-ხვედურეთის (ქარელის რაიონი) არასრული საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნული დ. გიკაშვილი განათლების განყოფილებაში გამოცხადდა, მაგრამ სკოლაში სამუშაოდ წასვლაზე უარი განაცხადა.

დაუშვებელი ტონით არის დაწერილი მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების პედკაბინეტის გამგედ დანიშნული გ. ორახელაშვილის განცხადება. მოვიყვანთ დამახასიათებელ ამონაწერს ამ განცხადებიდან: „მცხეთაში ჩავედი. გამოირკვა, რომ პედკაბინეტის გამგეს 400 მანეთი აქვს ხელფასი და სხვა არავითარი შეთავსებითი სამუშაო... მე კი 15 წლის მასწავლებელს, 10 წლის განმავლობაში საშუალო სკოლის ხელმძღვანელად ნამუშევარს, ოჯახიანს, პარტიის წევრს“ ამ ხელფასზე ცხოვრება არ შემიძლიაო — უკმეხად აცხადებს ორახელაშვილი და მოითხოვს განსახკომის ბრძანების გაუქმებას.

ამბროლაურის პედსასწავლებლის კურსდამთავრებული ელ. მესხი დანიშნულია ტყიბულის რაიონის სოფ. ძუყურის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. ამანაც სამუშაოდ დროზე გამოცხადებას განსახკომში განცხადების გამოგზავნა ამჯობინა: რა ვქნა მასწავლებლობა კარგია, მაგრამ მშობლებს ვერ მოვშორდებიო.

ზესტაფონის რაიონის სხვადასხვა სკოლებში ახლად დანიშნული მასწავლებლები ალ. ჭანკვეტაძე, ნ. კაპანაძე, ნ. დანელია, ნ. ფანქველაშვილი 23 აგვისტოსათვის არ გამოცხადებულან სამუშაოდ.

განსახკომის დერეფნებში ბევრ ისეთ მასწავლებელს შეხვდებით, რომლებსაც შვებულება 20 აგვისტოს გაუთავდათ, ახლა სკოლებში უნდა მუშაობდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ზოგს რაიონი არ მოსწონს, ზოგს—სკოლა, ზოგი სოფლის სკოლაში მუშაობას უკადრისობს—არ ეჩქარებათ სამუშაოზე წასვლა და ამით საფრთხის წინაშე აყენებენ ახალი სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებას.

მართალია განსახკომმა მათ შესახებ აცნობა სათანადო რაიონების განათლების განყოფილებებს, რომ სამუშაოს გამცდენნი და სწავლების დეზორგანიზატორები მიცემულ იქნან პასუხისგებაში სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების თანახმად, მაგრამ ეს როდი კმარა. საჭიროა განათლების განყოფილებებმა ფხიზლად ადევნონ თვალყური 26 ივნისის ბრძანებულების განუხრელად განხორციელებას და ძირშივე აღკვეთონ სამუშაო დროის უნაყოფოდ ფლანგვის ყოველგვარი გამოვლინება.

შეიძლება ერთი ვუსაყვედუროთ რაიონების განათლების განყოფილებებსა და მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთ ადგილობრივ საბჭოს. ბევრი მათგანი ძალიან ცოტას ზრუნავს ახლად დანიშნული მასწავლებლებისთვის საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. მაგალითად, სოფ. ჭადაჯვრის (დუშეთის რაიონი) საშუალო სკოლაში მასწავლებლად დანიშნულია თ. სამებელაშვილი, რომლისთვისაც ბინა დღემდის არ აღმოუჩენიათ. ქარელში რუსული ენის მასწავლებელი ზედიზედ სამ სკოლაში გააგზავნეს, მაგრამ არც ერთში ადგილი არ აღმოჩნდა და მასწავლებელიც იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

მასწავლებლებისადმი ასეთი დამოკიდებულება ძირშივე უნდა აღიკვეთოს. მათ უნდა შეუქმნათ მუშაობის ყოველგვარი პირობები, ხოლო მკაცრად დავსაჯოთ ყოველსიტყლინონი და ფრენიები—სწავლების დეზორგანიზატორები.

შ. მალხაზიძე



თბილისის მე-107 საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ვ. მშველიძე და მასწავლებელი გ. მაცაბერიძე ათვალიერებენ ახალი სასწავლო წლისათვის მიღებულ სახელმძღვანელოებს. საქდესის ფოტოქრონიკა

თელავის რაიონი ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ

2 სექტემბერს თელავის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შვილები შეაღებენ სკოლის კარებს.

მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტებულია ყველა ტიპის სკოლები. არ ჰყოფნის მათემატიკოსი პედაგოგები უმაღლესი განათლებით. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან სოფ. ქისტაურისა და დუისის სკოლები. განათლების განყოფილების მუშაკებს საქართველოს განსახკომის იმედი აქვთ.

გასული წლის მსგავსად, რაიონის სკოლებში წელსაც დაბრკოლება მოელის უცხო ენის ნორმალურად სწავლებას. აკლიათ მომზადებული და კვალიფიციური პედაგოგები.

სკოლების რემონტი რაიონში თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარდა. ამ საქმეში განათლების ორგანოებს სერიოზული დახმარება გაუწიეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა. განსაკუთრებული მონდომებითა და ენერგიული მუშაობით თავი ისახელეს თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ქალავიშვილმა, კონდოლის — ამხ. ნელხელაურმა, ფშავლის — ამხ. ნარჩემაშვილმა, ზემო - ხოდაშენის —წითელაურმა და კისისხევის—გომურაშვილმა.

მიუხედავად სკოლების რემონტის კარგად ჩატარებისა, ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს თელავის მე-2 საშუალო სკოლის შესახებ. ამ სკოლის შენობა გასულ წელს აიგო. მეცადინეობა დაიწყო მიმდინარე წლის იანვარში. მის მშენებლობაზე ნახევარმილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. შენობის მიმღებმა ტექნიკურმა კომისიამ შენობა დამაკმაყოფილებლად და ექსპლოატაციისათვის ვარგისად სცნო. სინამდვილეში კი, მშენებლობის ცუდი ხარისხის გამო, დღესაც ძნელია იქ ნორმალური სწავლის დაწყება. ახლა დამატებით მიდის სკოლის „რემონტი“, რაც საეჭვოა 2 სექტემბრამდე მოთავდეს.

ცუდი მდგომარეობაა ზამთრისათვის სკოლების შეშით მომარაგების მხრივ. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით საზამთროდ შეშის მოტანა ქალაქისა და სოფლის სკოლებში 10 აგვისტოსათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ჯერ ერთი ღერიც არაა მოტანილი. ამის მიზეზად ასახელებენ ტრანსპორტის შორვნის სიძნელეს.

ვერც სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მდგომარეობაა სახარბიელო. ჯერ ერთი,—89 სახელწოდების სახელმძღვანელოდან რაიონში მხოლოდ 24 სახელწოდების წიგნია შემოტანილი, მეორეც, — ნახმარი სახელმძღვანელოების სოფლად შესყიდვის საქმე ჩაიშალა რაიკოოპკავშირის დაუდევრობით. კოოპერაციამ სახელმძღვანელოებს შესყიდვა მაშინ დაიწყო, როდესაც მოსწავლეები უკვე წასული იყვნენ საზაფხულო არდადეგებზე.

ქალაქის სკოლების მოსწავლეთათვის რვეულები მოტანილია იმ რაოდენობით, რაც მათ სასწავლო წლის პირველ მეოთხედში ეყოფათ. სოფლის სკოლების მოსწავლეთათვის კი რვეულების შემოტანა მოუწესრიგებელია. განათლების განყოფილების გამგის ამხ. ი. ყარაულაშვილის განცხადებით, სოფლად პირველ მეოთხედში 200 ათასზე მეტი რვეული მაინც არის საჭირო, ჯერჯერობით კი შემოტანილია მხოლოდ 30 ათასამდე რვეული. სოფლის სკოლებისათვის არ არის ავრეთვე მიღებული ცარცი. განათლების განყოფილება იძულებული გახდა ქალაქის სკოლების ფონდიდან თითო კილოგრამი მაინც გაენაწილებინა სოფლის სკოლებისათვის, რაც 4-5 დღეს ეყოფათ.

გასული წლის მსგავსად სახატავ რვეულების დიდი ნაკლებობაა. ასეთები აქ ჯერაც არ მიუღიათ. სრულებით არ მოიპოვება „მუნჯი რუკები“ და „ალექსანდრიის“ ქაღალდი. უამისოთ კი გეოგრაფიისა და ხატვა - ხაზვის სწავლებას დიდად ეშლება ხელი. სასწავლო ნივთებიდან ნაკლებობაა სამელნეების, განსაკუთრებით „ძაბრიანი“ სამელნეების, კალმების, ჩანთებისა და სხვ.

კარგი იქნება თუ სახელგამი და ცეკავშირი ეხლავე შეამოწმებენ თავისთავს — ყველაფერი გააკეთეს თუ არა სასწავლო წლის დაწყების ბოლშევიკურად შეხვედრისათვის.

არ. კოკილაშვილი

მომზადებული ხვდებიან ახალ სასწავლო წელს

თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მე-39 საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ქობულაძე) დროზე დაიწყეს მზადება ახალი სასწავლო წლის შესახვედრად. იმ მიზნით, რომ სკოლის გარეშე არ დარჩეს არცერთი ბავშვი, სკოლის დირექციამ გამოჰყო პედაგოგთა ბრიგადები, რომლებმაც სკოლის სამოქმედო რაიონში აღრიცხეს სკოლის სასაკის ბავშვები. აღრიცხულია 207 ბავშვი და მიღებულია ყოველგვარი ზომები ამ ბავშვების სკოლაში მოსათავსებლად. შემოწმებამ დაგვანახვა, რომ ზოგიერთი მშობელი ბავშვს განზრახ არ უშვებს სკოლაში, მიუხედავად სკოლის დირექციის მიერ მოსახლეობაში ჩატარებული ახსნა-განმარტებითი მუშაობისა. სოფანლუღის შესახვევში (№ 2 სახლი) მცხოვრები თ. შამოევი თავის ბავშვს სკოლაში არ უშვებს. ეს გამონაკლისი როდია.

ვადამდე დამთავრდა სკოლის შენობის, სასკოლო ინვენტარისა და სასკოლო მოწყობილობის მიმდინარე შეკეთება. შეკეთება, რომელზედაც 15.000 მანეთამდე დაიხარჯა, მიმღებმა კომისიამ „ფრიადზე“ შეაფასა. სკოლამ ბავშვთა თვითმომქმედი წრეების მუშაობის კიდევ უფრო გასაშლელად მოაწყო კლუბი. სკოლა ინვენტარით და მოწყობილობით უზრუნველყოფილია. ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად შეძენილია 3.000 მანეთის წიგნები.

სკოლა უზრუნველყოფილია პედაგოგიური პერსონალით, მეცადინეობის ცხრილი უკვე შედგენილია, მასწავლებლებს შორის გაკვეთილები განაწილებულია, შედგენილია წლიური და კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები.

ახალ სასწავლო წელს სკოლა მთლიანად მომზადებული ხვდება.

თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტის სასკოლო კვების სამმართველოს ჯერ კიდევ არ უზრუნველია სკოლაში ბავშვთა კვების საკითხის მოსაგვარებლად. საჭიროა ამ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება.

სკოლას გარეშემო მშვენიერი ბაღი აქვს, მაგრამ იგი შემოუკავებელია და ნადგურდება. თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ და კიროვის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომმა ამ ნაკლის გამოსასწორებლად გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ.

შ. სურგულაძე

სკოლის მშენებლობა ჭიანურდება

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ზუგდიდის რაიონს ექნება 16 საშუალო, 31 არასრული საშუალო და 19 დაწყებითი სკოლა. ამ სკოლებში იმუშავებს 600 მასწავლებელი. ზუგდიდის რაიონის სკოლებს წელს შეემატა უმაღლესი განათლების მქონე 31 მასწავლებელი, რესპუბლიკური კურსები გაიარა 52 მასწავლებელმა.

რაიონში რემონტი უნდა გაეკეთებინათ 44 სკოლისათვის, ჯერჯერობით დამთავრებულია მხოლოდ ორი სკოლის (ოდიშისა და ქალაქის მე-3 საშუალო სკოლების) რემონტი.

შეკეთება არ დაუწყიათ კოკის (დირექტორი — ხ. მორგოშია), საბერაშვილოს (დირექტორი—ა. მჭედლიშვილი) და გრიგოლიშის (დირექტორი—ვ. გულუა) სკოლებში. ჩამორჩენილია ახალი სკოლის მშენებლობაც. ქალაქის მეორე არასრული საშუალო სკოლის მშენებლობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 14 პროცენტით. მშენებლობა ჭიანურდება სამშენებლო მასალის უქონლობის გამო. სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა, ხოლო სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

ზუგდიდის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ ახალი სასწავლო წლის მომზადებულად შესახვედრისათვის.

ა. ქვარცხავა

სასწრაფოდ გამოვასწოროთ ჩამორჩენა

ზესტაფონის რაიონის ზოგიერთი სკოლა არადამაკმაყოფილებლად ემზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა ძირულის, პირველი სვირის, განთიადისა და ბოსლევის სკოლებში ზერელედ ჩაატარეს, ზუსტად არ არის გამორკვეული სკოლებზე ჩამომორებულთა რაოდენობა.

დაუშვებლად ჭიანურდება პირველი სვირის, ბოსლევის და ტაბაკინის სკოლების რემონტი, ხოლო ქალაქის მეორე საშუალო სკოლის შენობის კაპიტალური რემონტი დღემდე არ დაუწყიათ.

სკოლებმა დროზე ვერ მიიღეს რემონტისათვის გათვალისწინებული თანხები და საჭირო სამშენებლო მასალა. რაისაბჭოს აღმასკომი და მისი საფინანსო განყოფილება (გამგე ამხ. ნ. პერანიძე) აბრკოლებენ სკოლების რემონტისათვის გათვალისწინებულ თანხების დროზე გაცემას.

ქალაქის მესამე საშუალო სკოლის შენობის აგება სამი თვის წინათ დაიწყო. იგი პირველი ნოემბრისათვის უნდა დამთავრდეს, მაგრამ მშენებლობის გეგმა დღემდე მხოლოდ 8 პროცენტით არის შესრულებული.

ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა მხოლოდ 60 პროცენტით არის შესრულებული.

სასოფლო საბჭოს აღმასკომები, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სახალხო განათლების ორგანოებს საკმაო დახმარებას არ უწევენ. ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

შ. დიდია

ვამოწმებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულებას

წარმოების დეზერტირებს ხელს აფარებენ

(მიათუხა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ლ. ბერიას სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივნის კაბინეტის წინ განცხადება იყო გაკრული: „23 აგვისტოს პარტიულ კრებაზე მოსმენილ იქნება მაღაროს დირექტორის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

კრების მოწვევამდე მხოლოდ 2 დღეა, მაგრამ პარტბიუროს მდივანს ამხ. პ. კვიჟინაძეს და მაღაროს დირექტორს ამხ. გ. ბერეგვაძეს მოხსენებისათვის საჭირო მასალები მაინც არ შეუგროვებიათ. კრებისათვის მასალების შეგროვება უფროს მეტაბელეს აქვს მინდობილი.

რატომ ატარებენ ამ საკითხს ასე გვიან? რატომ არ არიან ხელმძღვანელები საქმის კურსში?

იქნებ იმიტომ, რომ ყველაფერი რიგზეა ამ მაღაროში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ ადგილი არ აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას?

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. შრომის დისციპლინა ჯერ კიდევ ირღვევა, ქარხმაღაროში ბევრი შრომის დეზერტირია მოკალათებული, მაგრამ მათ მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომებს არ იღებენ. ბრძანებულების გამოსვლიდან 20 აგვისტომდე 93 მუშას აქვს შრომის დისციპლინა დარღვეული, მათ შორის მხოლოდ 12 გაასამართლეს.

საქმე იმაშია, რომ წარმოების დეზერტირების მიმართ აშკარა ლმობიერებას იჩენენ. დავასახელოთ ფაქტები: ვლადიმერ და ნესტორ სამხარაძეებმა 3, 4 და 5 აგვისტოს სამუშაო დღეები გააცდინეს. 21 აგვისტოსათვის ისინი პასუხისგებაში არ იყვნენ მიცემულნი. მწონავი მ. გულიაშვილი 12 აგვისტოს სამუშაოზე არ მოვიდა, მის ნაცვლად მეორე ცვლის მწონავი ჟ. ხვედელიძე ამუშავეს. დეზერტირ გულიაშვილის საქმე იმიტომ არ გადასცეს სასამართლოს, რომ ტრანსპორტის გამგემ გ. გველესიანმა ცნობა მისცა მას „გულიაშვილის მაგივრად ხვედელიძემ იმუშავაო“.

14 აგვისტოს მონტიორი ვ. გავრილოვი მთვრალი გამოცხადდა სამუშაოზე, მაგრამ მუშაობა ვერ შეძლო და წავიდა, იგი სასამართლოს არ გადასცეს, რადგან სიმთვრალით გააცდინა დღე (?!) პ. ჭიტაძემ 5 ივლისს დასტოვა სამუშაო და დღემდე არაა გასამართლებული.

გამცდენთა შორის კომკავშირელებიც არიან: ბ. ხვედელიძეს, დ. თაბაგარს და გ. ცერცვაძეს სამუშაო დღის გაცდენისათვის სამ-სამი თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს, მაგრამ კომკავშირის ორგანიზაციაში კიდევ ირიცხებიან.

მაღაროს ხელმძღვანელებს აღრიცხვის საქმე მეორეხარისხოვან საკითხად აქვთ მიჩნეული. უფროსი მეტაბელე ე. შეყილაძე უვარგისია ამ სამუშაოსათვის, მას გამცდენების სწორი აღრიცხვა არა აქვს. შემოღებული აქვს რაღაც ბლანკები, სადაც აღნიშნულია: „მიეცით პასუხისგებაში 26 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე“. ბლანკზე მხოლოდ სასამართლოზე გადასაცემი პირების გვარი და სახელის ადგილია დატოვებული, ხოლო ვინ უნდა ჩაწეროს აქ, თვითონაც არ იცის. მომდინარე თვის დასაწყისში მებაგის დამხმარე დ. სოფრომაძე ავად გახდა, მასზე ბლანკი შეავსეს. მიუხედავად იმისა, რომ სოფრომაძეს ავადმყოფობის დამადასტურებელი ექიმის ბიულეტენი აქვს, მას 21 აგვისტოს სამუშაო გააცდენინეს და სასამართლოში გამოუძახეს როგორც წარმოების დეზერტირს.

სამუშაო დროის თვითეული წუთი ძვირფასია. მაგრამ აქ სამუშაო საათების გაცდენასაც არ ერიდებიან.

ლ. ბერიას სახელობის მაღარომ ახლახან შეასრულა გეგმა, მაგრამ მაღაროს კოლექტივს კიდევ დიდი მუშაობა დასჭირდება გასული ნახევარი წლის დანაკლისის დასაფარავად. ასეთი მუშაობით კი, ვფიქრობთ, წარმატებას ვერ მიაღწევს.

ლ. ბერიას სახელობის მაღაროს შესახებ მოყვანილი ფაქტები იმას ადასტურებენ, რომ აქ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულება თვითდინებას მიანდეს, დასჯერდნენ მიტინგებისა და კრებების ჩატარებას და ყოველდღიური კონტროლი არ დააწესეს ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობაზე.

ლ. ლოლაძე

ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობას კონტროლს არ უწევენ

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის საძარო საამქროს მუშა შ. ბურლაკოვა სამუშაოზე არ გამოცხადდა 10 ივლისს, ამავე საამქროს მუშა გ. პაპუნაშვილი—13 ივლისს, ხოლო ს. ხასიევი—16 ივლისს. საძარო საამქროს უფროსმა ამხ. ლ. ლებეშევმა (საკ. კ. პ. (ბ) წევრი) თავისი ლიბერალური დამოკიდებულებით უგულებელჰყო ეს ფაქტი და დეზორგანიზატორების შესახებ 20 ივლისამდე არ აცნობა რაიონულ პროკურატურას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ ავტოსარემონტო ქარხანაში 10 კაცმა დაიგვიანა და 41 კაცმა სამუშაო დღე გააცდინა, შრომის დეზორგანიზატორთა შორის 5 კომკავშირელია.

26 ივლისს კომკავშირის წევრი კ. ბორკაძე სამუშაოზე არ გამოცხადდა. მისი საქმე განსახილველად გადასცეს ლენრაიონის სახალხო სასამართლოს, რომელმაც ბორკაძეს მიუსაჯა 4 თვით პატიმრობა, ხელფასიდან 15 პროცენტის დაკავებით. კომკავშირის ორგანიზაციამ კრებაზე იმსჯელა მის შესახებ და იგი კომკავშირის რიგებიდან გარიცხა, როგორც დისციპლინის დამრღვევი.

მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ავტოსარემონტო ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ დღემდე ვერ უზრუნველჰყო ბოლშევიკური კონტროლი 26 ივნისის ბრძანებულების შესრულებაზე.

ავტოსარემონტო ქარხნის პარტორგანიზაციის კრებას ჯერ არ განუხილავს საკითხი 26 ივნისის ბრძანებულების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

პარტიული ორგანიზაციის ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველჰყოფს ავტოსარემონტო ქარხნის წინაშე მდგომი ამოცანების დროზე შესრულებას.

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატში შინაგანაწესის მიხედვით დასვენება უნდა დამთავრდეს დღის პირველ საათზე, მაგრამ 23 აგვისტოს პირველ საათს 15 წუთი გადასცილდა და მუშები ისევ სასადილოში იყვნენ. როცა ამ შემთხვევის შესახებ პარტბიუროს მდივანს ამხ. ოქრუაშვილს შეეკითხნენ, მან განაცხადა:

— ჭიქები, კოვზები და თეფშები არა გვაქვს, მუშები დროზე ვერ ღებულობენ საუზმეს, რის გამოც მათი სამუშაოზე გამოცხადება რამდენიმე წუთის დაგვიანებით ხდება.

— ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ამატუნი სუსტად მუშაობს. ნაწილობრივ ამით აიხსნება სასადილოს უხეირო მუშაობაც. კომბინატში ჯერ კიდევ ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას. მაგალითად, 23 აგვისტოს ჩულქის საამქროს ოსტატი ხ. ოგანეზოვი სამუშაოზე 70 წუთის დაგვიანებით გამოცხადდა. პირველი ივლისიდან დღემდე 53 კაცმა დააგვიანა, 14 კაცი თვითნებურად წავიდა და 8 კაცმა სამუშაო გააცდინა. სასამართლომ მათ სათანადო სასჯელი დაადო.

1 ივლისს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატმა შ. დონაძემ 40 წუთით დაიგვიანა. მისი საქმე გადაეცა სასამართლოს, რომელმაც 2 თვის იძულებითი მუშაობა მიუსაჯა ხელფასიდან 15 პროცენტის დაკავებით. პარტიულმა ორგანიზაციამ კი მისი საქმე მხოლოდ 23 აგვისტოს განიხილა ბიუროს სხდომაზე და გარიცხა იგი პარტიის კანდიდატობიდან, როგორც შრომის დეზორგანიზატორი.

ელ. ჩიტიშვილი

თბილისის „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველი მრავალდაზგოსანი ამხ. თამარ რუხაძე ემსახურება 24 თითისტარს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ვინ არის დამნაშავე?

თბილისის მე-40 სკოლის მასწავლებელი პეპუშ ქურჩიანი 20 აგვისტოს 1 საათისა და 30 წუთის დაგვიანებით გამოცხადდა სამსახურში. სკოლის დირექტორმა ამხ. ეგიზარიანმა საქმე გადასცა სასამართლოს. თითქოს საქმე ნათელია. დაგვიანება უდავო ფაქტია. მასწავლებელიც თავს ვერ იმართლებს კანონის უცოდინარობით.

ასეთი აზრის არ არის მოლოტოვის რაიონის მე-5 უბნის მოსამართლე ამხ. სანიკიძე. რატომღაც მან თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა გამცდენი მასწავლებელი ქალი, სანჩაროდ მიირბინა სკოლაში და დირექტორს მოსთხოვა გამცდენის დახასიათება.

— რა დახასიათება უნდა მოგცეთ? წინათ გაცდენები არ ჰქონდა, 20 აგვისტოს საათნახევარი დააგვიანა. გაარჩიეთ საქმე და...

— არ ემორჩილებით ჩემს განკარგულებას?—გაჯავრდა მოსამართლე, — მობრძანდით სასამართლოში და ვნახოთ!..

საქმის განხილვას დირექტორიც დაესწრო და მასწავლებლებიც. მოსამართლემ მიიღო მხედველობაში რაღაც მოსაზრებები და გამცდენი მასწავლებელი გაამართლა, ხოლო პასუხისგებაში მისცა... სკოლის დირექტორი.

გაკვირვებული მასწავლებლები ბრუნდებოდნენ სასამართლოდან და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რაშია საქმე? ვინ არის დამნაშავე?

ალბათ რესპუბლიკის პროკურატურა შეამოწმებს ამ საქმეს და გვეტყვის ნამდვილად ვინ არის დამნაშავე.

გრ. ნუცუბიძე

ინციდენტი რუმინეთ-უნგრეთის საზღვარზე

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ბუდაპეშტიდან იუწყება, უნგრელთა წრეებში აცხადებენ, რომ რუმინეთის ჯარმა სროლა აუტეხა უნგრელ მესაზღვრეებს ლაიოსტანიის პუნქტთან, სეგედის აღმოსავლეთით.

რომი, 27 აგვისტო (საკდესი). როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, ბუდაპეშტში გამოქვეყნდა კომუნიკე იმის შესახებ, რომ დღეს, დაახლოებით დილის 11 საათზე, დებრეცენთან (უნგრეთი) რუმინეთის ერთმა თვითმფრინავმა უნგრეთის ყუმბარმშენი აიძულა ძირს დაშვებულიყო; უნგრეთის ეს ყუმბარმშენი სასწავლო ფრენას ახდენდა. უნგრელი მფრინავი მძიმედ დაიჭრა. შეტაკების შემდეგ რუმინეთის თვითმფრინავი აღმოსავლეთით გაეშართა.

უცხოეთის თვითმფრინავები შვეიცარიაში

ბერლინი, 27 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს შვეიცარიის დეპეშათა სააგენტოს ცნობას იმის შესახებ, რომ ინგლისის თვითმფრინავებმა 26 აგვისტოს ღამით, დაარღვიეს შვეიცარიის ნეიტრალიტეტი. ცნობაში ნათქვამია, რომ „თვითმფრინავებმა გადაიფრინეს ჟენევასა და კლაინლიუტცელს შორის ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. შვეიცარიის საჰაერო სივრცის დატოვებისას მათ გადაიფრინეს ჟენევასა და ბელინცონას შორის. საზღვარი გადალახულ იქნა 15 ადგილას. ბევრ პუნქტში საზენიტო არტილერია ამოქმედდა. უკან გაბრუნებისას თვითმფრინავები კვლავ შეიჭრნენ შვეიცარიაში კიასოსა და ჟენევას შორის და გაემართნენ ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით. მათ გადაიფრინეს ბონფოლსა და ჟენევას შორის და დასტოვეს შვეიცარიის ტერიტორია. თვითმფრინავების უკან დაბრუნების დროს საზენიტო არტილერიამ მათ სროლა აუტეხა. ყუმბარების ნამხვრევებით დაჭრილია რამდენიმე კაცი“.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ ლაიპციგის ბაზრობაზე მოწყობილი საბჭოთა პავილიონის შესახებ

ბერლინი, 27 აგვისტო (საკდესი). ლაიპციგის ბაზრობაზე მოწყობილი საბჭოთა პავილიონი ქვლავ იპყრობს გერმანული გაზეთების ყურადღებას.

გაზეთში „ფრანკფურტერ ცაიტუნგმა“ ლაიპციგის ბაზრობის შესახებ დღეს ვრცელი სტატია მოათავსა.

„საბჭოთა კავშირის პავილიონი,—სწერს გაზეთი,—ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ ჩვენ ვხედავთ გადაშლილ დიდ წიგნს, სადაც დაბეჭდილია ტექსტი ცნობისა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის სამეურნეო ხელშეკრულების დადების შესახებ. შემდეგ მისდევს მრავალი ექსპონატი, რომელიც გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის სიმდიდრეს. ამ გამოფენის საფუძველს წარმოადგენს ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ სამეცნიერო ინსტიტუტები საბჭოთა კავშირში, ქვანახშირის მადნებში და სხვაგან საწარმოო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. აი მაგალითი: სამთამადნო საქმის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი სკოჩინსკი, მუშაობს მადნების მავნებელი აირების წინააღმდეგ ბრძოლის და მაღაროებში აფეთქებათა საწინააღმდეგო ზომების საკითხებზე.

ჩვენს სოფლის მეურნეობაში ისე, როგორც მრეწველობაში, მუშაობს ათობით და ასობით მთავარი დარგობრივი სამეცნიერო ინსტიტუტი, საცდელი სადგური და ათასობით საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ლაბორატორია. სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა დიდათ ეხმარება მოწინავეთა საუკეთესო გამოცდილების დაგროვებისა და განზოგადების საქმეს. გამოფენას ესწრება სოფლის მეურნეობის ათიათასობით სტახანოველი და სხვა მოწინავე მოღვაწე და სპეციალისტი. ჩვენი მეცნიერებისათვის ძნელად წარმოსადგენია უკეთესი აუდიტორია. უკვე გასულ წელს გამოფენაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ათობით აკადემიკოსები, პროფესორები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო გამოჩენილი სტახანოველები. მომდინარე წელს მეცნიერებისა და პრაქტიკის წარმომადგენელთა ურთიერთობის ეს ფორმა კიდევ უფრო გაფართოვდება.

გამოფენაზე პავილიონ „ზერნო“-ში საინტერესო მუშაობას აწარმოებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ბახი. შექმნილია სპეციალური ეგრეთწოდებული „სავეგეტაციო სახლი“, სადაც აჩვენებენ მცენარეთა ფიზიოლოგიის დარგში ჩატარებულ 40-ზე მეტ ცდას (მცენარეები მოთავსებულია 1000 ჭურჭელში). ამ ცდებში მოცემულია სხვადასხვა გარემო ფაქტორების გავლენა მცენარის ზრდაზე, განვითარებაზე და მის მსხმოიარობაზე. გაკეთებულია ცდები მცენარის ცხოვრებაზე მინერალური და ბაქტერიული სასუქების, წყლის რეჟიმისა და ნახშირბადით კვების გავლენის მხრივ, წარმოებს აგრეთვე ისეთი ფაქტორების კვლევა, როგორიც არის მცენარის სუნთქვა, ფოტო-პერიოდიზმის მოვლენები და მცენარეში არსებული ზრდის ჰორმონები.

„სავეგეტაციო სახლის“ დათვალიერებისა და მეცნიერული კონსულტაციების მოსმენის შედეგად, ლაბორატორიების მუშაკებს, სტახანოველებსა და ცალკეულ მცდელებს შეუძლიათ თავის სახლში გაიმეორონ მათთვის საინტერესო ცდები, ხოლო მიღებული პრაქტიკული შედეგები დანერგონ სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში და ამით შეავსონ სოფლის მეურნეობის წარმოებაში უკვე გამოყენებული სტახანოვური მეთოდები.

შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ სულ ახლო მომავალში საბჭოთა მოწინავე მეცნიერება ახალ მასობრივ ნაბიჯებს გადადგამს სტახანოვური მოძრაობისაკენ, განაზოგადებს დაგროვილ კოლოსალურ სტახანოვურ გამოცდილებას, მეცნიერულ ბაზას შეუქმნის არსებულ მიღწევებს და ახალი მეცნიერული მეთოდებით შეაიარაღებს სტახანოველებს.

„ჟურნალ დე ჟენევის“ პარიზის მდგომარეობის შესახებ

შვეიცარიის გაზეთმა „ჟურნალ დე ჟენევმა“ 20 აგვისტოს ნომერში მოათავსა შენიშვნა, რომელშიც შემდეგნაირად გვიხატავს პარიზის მდგომარეობას:

„2 აგვისტოდან, — იუწყება გაზეთი, — პარიზში ფოსტას ორჯერ არიგებენ დღეში: 9 საათზე და 17 საათსა და 30 წუთზე. 10 აგვისტომდე პარიზსა და მის გარეუბნებში გახსნილი იყო 50 საფოსტო განყოფილება, ხოლო 16 აგვისტოდან მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად გაიხსნა ყველა საფოსტო განყოფილება.

აგვისტოს პირველ კვირაში გახსნილი იყო სამი თეატრი. ამჟამად მოქმედებს დაახლოებით 50 კინოთეატრი, სადაც უმთავრესად კომიკურ ფილმებს უჩვენებენ. გახსნილია აგრეთვე ათამდე კაბარე და დანსინგი.

ქუჩებში მოძრაობა 23 საათზე სწყდება.

პარიზში გამოდის შვიდი გაზეთი“.

27 აგვისტო (საკდესი).

ჩინეთის ჯარის შეჯვითი ოპერაციები

შანხაი, 27 აგვისტო (საკდესი). იაპონური ცნობებიდან სჩანს, რომ გაძლიერდა ჩინეთის „მფრინავი რაზმების“ აქტივობა, რომელნიც ბეიპინის რაიონში მოქმედებენ. 25 აგვისტოს ბეიპინსა და ტიან-ძინს შორის რკინიგზის ხაზზე დანგრეულია რამდენიმე კილომეტრი ლიანდაგი, აგრეთვე შესწყდა სარკინიგზო მიმოსვლა ბეიპინსა და ხანკოუს შორის. ამავე დროს დარღვეულია მატარებლების მოძრაობა ბეიპინიდან სამხრეთისაკენ. ჩინეთის „მფრინავი რაზმების“ აქტივობის გაძლიერება დაემთხვა ჩინეთის მე-8 სახალხო-რევოლუციური არმიის ფართო შეტევას ხუბეისა და შანსის პროვინციების სასაზღვრო ხაზზე.

გაზეთ „შენჩოუჟიბაოს“ გადმოცემით, ჩინეთის მე-4 სახალხო-რევოლუციური არმიის ნაწილმა გადალახა მდინარე იანძი ძიანსუს პროვინციაში. ეს ჯარი ჩავიდა ტაისინსა და ხუანძიაში, სადაც იგი შეუერთდება ჩინეთის ჯარს, რომელიც ძიანსუს პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში იმყოფება.

გაზეთ „დავანბაოს“ გადმოცემით, ჩინეთის ჯარმა, რომელიც 300 ათასი კაცისაგან შესდგება, ფართო შეტევა დაიწყო იაპონიის პოზიციებზე ხუბეის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში. იაპონიის ნაწილებს, რომლებიც შაშსი, იჩანსა და ძინმინში იმყოფებიან, სრული გარშემორტყმა ემუქრება. ჩინეთის ავიაცია უკანასკნელი დღეების განმავლობაში ხშირად უშენს ყუმბარებს იმ ადგილებს, სადაც თავმოყრილია იაპონიის ჯარი.

აკად. ვ. ლ. კომაროვი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

სტახანოვური მოძრაობა და მეცნიერება

ამ წერილში მე მინდოდა მკითხველებისათვის გამეზიარებინა თავისი აზრი მეცნიერებაზე, მეცნიერებაზე და ადამიანთა ცოცხალ ცხოვრებასთან მათ კავშირზე ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში. მეცნიერება და განათლება შეიჭრა ხალხის ცხოვრების ყველა დარგში. მეცნიერება და მეცნიერნი დაეშვნენ ყოფილი ოლიმპოს სიმაღლეებიდან ფართო ველებზე და ათასობით საქარხნო და საკოლმეურნეო ლაბორატორიებში შეუერთდნენ სახალხო შრომისა და სახალხო შემოქმედების თვით სათავეებს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა აკადემიების ინსტიტუტები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთავარი ინსტიტუტები უკვე დაუკავშირდნენ დარგობრივ ინსტიტუტებს და სამეცნიერო ლაბორატორიების მთელ ძირეულ ქსელს. პარტია და მთავრობა დიდ დახმარებას უწევენ ჩვენი სამეცნიერო ინსტიტუტების თეორიული მიღწევების შედეგთა დანერგვას პრაქტიკაში, და ამის შედეგად საბჭოთა მეცნიერებს შესაძლებლობა აქვთ სწრაფად დაიყვანონ წარმოებამდე თავიანთი მეცნიერული შრომის ნაყოფი. კავშირი, რომელიც მეცნიერებათა აკადემიამ დაამყარა საველეწიფო საგეგმო კომისიასთან და სამრეწველო სახალხო კომისარიატებთან, დიდად დაეხმარა მეცნიერულ ნაშრომთა პრაქტიკაში დანერგვას. მათ რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, უკანასკნელი შრომები სინთეტიური ძმრის მჟავას მისაღებად კატალიზატორის სახით ვერცხლის წყლის გამოყენების გარეშე, ნაშრომები კოქსქიმიური მრეწველობის ნედლეული ქვანახშირის ბაზის გაფართოებისათვის, ნაშრომები ნედლი ტიტან-მაგნეტიტური მადნეულის ბრმედული დნობით ვანადიუმიანი თუჯის მისაღებად, ნაშრომები გდოვის ფიქალების გადამუშავებით თხევადი სათბობის მისაღებად.

ამხანაგმა სტალინმა თავის ბრძნულ სიტყვაში სტახანოველთა პირველ სრულიად-საკავშირო თათბირზე სთქვა: „მეცნიერების მონაცემებს მუდამ ამოწმებდნენ პრაქტიკით, გამოცდილებით. მეცნიერება, რომელსაც გაუწყვეტია კავშირი პრაქტიკასთან, გამოცდილებასთან, — ეს რაღა მეცნიერებაა?... მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეცნიერება, რომ იგი არ სცნობს ფეტიშებს, მას არ ეშინიან ალმართის ხელი დრომოჭმულის; ძველის წინააღმდეგ, და გულისხმიერად უგდებს ყურს გამოცდილების; პრაქტიკის ხმას“. სტახანოვური მოძრაობის მეხუთე წლისთავზე ეს სიტყვები ჩვენთვის გაისმის ახალი ძალით, მოგვაგონებენ რა საბჭოთა მოწინავე მეცნიერების პირველხარისხოვან ამოცანებს.

მუშაობის სტახანოვურ მეთოდებს, ეჭვს გარეშეა, საფუძვლად უდევს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპები და ისინი მოითხოვენ მეცნიერულ თეორიულ დასაბუთებას. სტახანოველები თავიანთ მუშაობაში გამოცდილების საშუალებით თამამად და რევოლუციურად პოულობენ წარმოების ნაყოფიერების ამაღლების ახალ მეთოდებს და აღწევენ მუშაობის და შრომის ნაყოფიერების არნახულ ტემპებს. სწორედ აქ გამოდის პირველ პლანზე ის უდიდესი მოვალეობა, რომელიც მეცნიერებას აკისრია. მეცნიერებამ უნდა განაზოგადოს უკვე არსებული მიღწევები და შეუქმნას მათ მტკიცე თეორიული ბაზა. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებანი თავიანთ მუშაობაში მაქსიმალურად დაუახლოვდნენ არამარტო ძირეულ საწარმოო ქსელს — საქარხნო და საკოლმეურნეო ლაბორატორიებს, არამედ უშუალოდ თვით მატერიალურ ღირებულებათა მწარმოებლებს — მუშებსა და კოლმეურნეებს.

მეცნიერების სწორედ ეს დაახლოება წარმოებასთან ჩვენ საკმაო სახით არა გვაქვს ამჟამადაც კი.

სადღეისო თემა მეცნიერებისა და სტახანოვური მოძრაობის ურთიერთმოქმედების შესახებ დაწვრილებით გაშუქებას მოითხოვს სპეციალურ მეცნიერულ ნაშრომებში. აქ მე აღვნიშნავ საჭირო კავშირის საწყისებს მეცნიერების იმ სხვადასხვა დარგებში, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ სახალხო მეურნეობასთან.

მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში მოწყობილია ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება, რომლის ამოცანას წარმოადგენს ტექნიკის დარგში ახალი მეცნიერული მეთოდების შექმნა და ჩვენი მძლავრი ტექნიკისათვის თეორიული ბაზის შექმნა, რის შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი სტახანოველთა პირველ სრულიად-საკავშირო თათბირზე. ამჟამად ამ განყოფილების შემადგენლობაში ყალიბდება და ნაწილობრივ უკვე ამუშავდა ისეთი ახალი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები, რომელნიც პირდაპირ მიმართული არიან მრეწველობისაკენ. მე ვლაპარაკობ მეტალურგიის, მანქანათმცოდნეობის, სამთამადნო საქმის, მექანიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტების შესახებ.

რა სარგებლობას მოუტანს რომელიმე ასეთი ინსტიტუტი სტახანოვური მოძრაობის შემდგომ განვითარებას, გარდა იმ ახალი მეთოდების შესწავლისა და დამუშავებისა, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნან წარმოებაში? პასუხი ამ კითხვაზე უკვე მოცემულია ჩვენი მეცნიერების მუშაობაში. აი რამდენიმე მაგალითი.

უახლოეს ხანში გამოქვეყნდება მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მიერ შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატთან ერთად მომზადებული ცნობარი თუჯისა და ფოლადის წარმოებისადმი კონტროლის რაციონალური მეთოდების შესახებ. შავი მეტალურგიის კომისარიატმა დასვა საკითხი ამ ნაშრომის შემდეგ იქვე გამოუშვას მთელი რიგი ცნობარები წარმოების კონტროლის ხარისხის მეთოდიკის შესახებ მადნეულის, ფეროშენადნობთა, ცეცხლგამძლეთა, მდნობთა მიმართ და სადნობი კონტროლის დარგში. ჩვენი წარმოებისათვის მეცნიერების დახმარების ასეთ ფორმას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ქვანახშირის ინსტიტუტმა მიმდინარე წელს გამოუშვა წიგნი, სადაც შეჯამებული და განზოგადებულია დონეცის აუზის მაღაროებში სტახანოვური მეთოდებით მუშაობის გამოცდილება.

ამ უკანასკნელ დროს პრაქტიკაში შემოიღეს დიდი მეცნიერების ადგილებზე გასვლა, რაც მიზნად ისახავს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის ახალი მეცნიერული მეთოდების პრაქტიკულად განხორციელებას. მაგალითად, გასული წლის შემოდგომაზე ჩუსოვის ქარხანაში (ურალი) სწარმოებდა ნედლი ტიტან-მაგნეტიტების საცდელი დნობა. ცდების ხელმძღვანელ მეცნიერთა ბრიგადამ ქარხანაში ერთ თვეზე მეტი დაჰყო. ბრიგადის მუშაობამ მუშათა შორის მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია. ბრიგადის წევრების გამოსვლებმა საამქროების საწარმოო თათბირებზე ხელი შეუწყეს სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, იმ სოციალისტური შეჯიბრებისა, რომლის უმაღლეს საფეხურს სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს. ზედმეტი არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ამჟამად გაუმჯობესებული ტიტან - მაგნეტიტური მადნები უკვე მტკიცედ შევიდნენ ქარხნის საწარმოო პრაქტიკაში და ვანადიუმიან თუჯად მათ გადადნობის საქმეზე მუშაობს ოთხი საბრძმედე ღუმელი.

მეცნიერული მოღვაწეობის შეორე ფორმას, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს სტახანოვური მოძრაობის შემდგომ განვითარებას, წარმოადგენს ინსტიტუტებისა და ცალკეული მეცნიერების მეცნიერული შეფობა ქარხნების ლაბორატორიებზე. ასეთი შეფობა შესაძლებლობას იძლევა გაღრმავებულ იქნას საქარხნო ლაბორატორიის მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, დახმარებას იძლევა ტექნოლოგიური პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის გზების მონახვაში.

ქარხანა „სერპ ი მოლოტ“-ზე მეცნიერული შეფობა დაივალა აკადემიკოსმა ბარდინმა, ზლატოუსტის მეტალურგიულ ქარხანაზე—აკადემიკოსმა გუდცოვმა, ჩუსოვის მეტალურგიულ ქარხანაზე—აკად. ბრიცკემ. მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ჩუდაკოვი, მჭიდრო კავშირს ამყარებს ქარხანა „შარიკოპოდშიპნიკ“-თან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი შეფობის განხორციელება წარმოადგენს წარმოებასთან მეცნიერების კავშირის ერთერთ აქტიურ მეთოდს.

უნდა მოვიგონოთ აგრეთვე ის მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ სამეცნიერო ინსტიტუტები საამქროებში, ქვანახშირის მადნებში და სხვაგან საწარმოო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. აი მაგალითი: სამთამადნო საქმის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი სკოჩინსკი, მუშაობს მადნების მავნებელი აირების წინააღმდეგ ბრძოლის და მაღაროებში აფეთქებათა საწინააღმდეგო ზომების საკითხებზე.

ჩვენს სოფლის მეურნეობაში ისე, როგორც მრეწველობაში, მუშაობს ათობით და ასობით მთავარი დარგობრივი სამეცნიერო ინსტიტუტი, საცდელი სადგური და ათასობით საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ლაბორატორია. სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა დიდათ ეხმარება მოწინავეთა საუკეთესო გამოცდილების დაგროვებისა და განზოგადების საქმეს. გამოფენას ესწრება სოფლის მეურნეობის ათიათასობით სტახანოველი და სხვა მოწინავე მოღვაწე და სპეციალისტი. ჩვენი მეცნიერებისათვის ძნელად წარმოსადგენია უკეთესი აუდიტორია. უკვე გასულ წელს გამოფენაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ათობით აკადემიკოსები, პროფესორები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო გამოჩენილი სტახანოველები. მომდინარე წელს მეცნიერებისა და პრაქტიკის წარმომადგენელთა ურთიერთობის ეს ფორმა კიდევ უფრო გაფართოვდება.

გამოფენაზე პავილიონ „ზერნო“-ში საინტერესო მუშაობას აწარმოებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ბახი. შექმნილია სპეციალური ეგრეთწოდებული „სავეგეტაციო სახლი“, სადაც აჩვენებენ მცენარეთა ფიზიოლოგიის დარგში ჩატარებულ 40-ზე მეტ ცდას (მცენარეები მოთავსებულია 1000 ჭურჭელში). ამ ცდებში მოცემულია სხვადასხვა გარემო ფაქტორების გავლენა მცენარის ზრდაზე, განვითარებაზე და მის მსხმოიარობაზე. გაკეთებულია ცდები მცენარის ცხოვრებაზე მინერალური და ბაქტერიული სასუქების, წყლის რეჟიმისა და ნახშირბადით კვების გავლენის მხრივ, წარმოებს აგრეთვე ისეთი ფაქტორების კვლევა, როგორიც არის მცენარის სუნთქვა, ფოტო-პერიოდიზმის მოვლენები და მცენარეში არსებული ზრდის ჰორმონები.

„სავეგეტაციო სახლის“ დათვალიერებისა და მეცნიერული კონსულტაციების მოსმენის შედეგად, ლაბორატორიების მუშაკებს, სტახანოველ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՍՀ ԱՇԽԱՏԱՎՈՐ ԺՈՂՈՎՐԴԻ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ ԵՎ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԻ

Հրատ. թղթ. 123 ընդ. 3-18-50

ԵՐԵՎԱՆ

29, 30 պետական ընտիր ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՍՀ ԳԵՐԱԳՈՒՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ԱՐՎԵՍՏՆԵՐԻ ՑՈՒՑԱՀԱՆԴԵՍ

Բաց մրցում

Ցուցահանդեսը կբացվի 29 պետ. ժամը 6-ին։ Ցուցահանդեսը կտևի 30 պետ. ժամը 6-ը։

Ցուցահանդեսի կազմակերպման հանձնաժողով

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՍՀ ՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՅԻՆ ՄԱՐՄՆԱՄԱՐԶԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵ

**ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՍՀ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՄԱՐԶԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵՆԵՐ